წერილის ნომერი: **18-01192522588**
თარიღი: **09/09/2019**
პინი: **0266**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური"), განიხილა თქვენი 2019 წლის 21 აგვისტოს #60-0119233620 წერილი (AR1695939) და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც მოქალაქე საბა მებაღიშვილი ითხოვს ქ. თბილისში, მუხიანის საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, (ს.კ: #01.11.17.023.951)(ფუნქციური ზონა: ს-1) შპს „ნიკოლოზის" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, II კლასის სათავსო/საწყობის განთავსების მიზნით, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას და გაცნობებთ, რომ:

წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში, ახალი გამწვანებული სივრცეების მოსაწყობად შემოთავაზებული 12 ერთეული (4 ძირი ზეთისხილი, 3 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 5 ძირი ჩვ. იფანი) მცენარის რაოდენობა სრულად ითვისებს კ3 გამწვანების კოეფიციენტის მინიმალურ საანგარიშო ფართობს (144 კვ.მ). გასამწვანებლად შემოთავაზებული საპროექტო მცენარეები (სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) შერჩეულია კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით.

ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.

ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" მე-40 მუხლის მე-3^1 პუნქტისა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „$ნ^1$" ქვეპუნქტის საფუძველზე, განმცხადებელმა საინფორმაციო დაფის გამოკვრამდე, მასში უნდა შეიტანოს შემდეგი ცვლილება: უნდა მიუთითოს დასარგავი მწვანე ნარგავების გარშემოწერილობა (არანაკლებ 20 სმ).

აქვე მოგახსენებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის" შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის 5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიციური

